ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

16 თებერვალი 2026 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გიორგი გვასალია
3. გივი ლატარია
4. აკაკი მალანია
5. აკაკი ხურცილავა
6. ალიოშა საჯაია
7. მიმოზა ლემონჯავა
8. ლაშა ცატავა

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2026 წლის 13 თებერვლის N50-502604488 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ფოთის საქალაქო სასამართლოში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2026 წლის 13 თებერვლის N50-502604488 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის განმარტებითი ბარათი 2025 წლის 1 აპრილიდან ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო სამსახურის ბიურო, ბიუროს ფუნქციები და უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია განისაზღვრა ბიუროს უფლებამონაცვლედ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. 2026 წლის 2 მარტიდან კი ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ანტიკორუფციული ბიურო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, მათ უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებაში შედის ცვლილება და დადგენილების 6[1] მუხლის „ე", „თ" და „ნ" ქვეპუნქტებში აღნიშნული ლიკვიდირებული ორგანიზაციების ნაცვლად ფიქსირდება მათი უფლებამონაცვლენი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: **8** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**
დაადგინეს: „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

2. „ფოთის საქალაქო სასამართლოში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ მიმდინარე წლის 10 თებერვლის სასამართლო უწყების საფუძველზე ფოთის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს შპს „ხეთას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა. აღნიშნულ საქმეზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირად განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ლელა შამათავა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დადგინდეს: „ფოთის საქალაქო სასამართლოში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ“ განმარტებით ბარათთან ერთად ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ 2025 წლის 1 აპრილიდან ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო სამსახურის ბიურო, ბიუროს ფუნქციები და უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია განისაზღვრა ბიუროს უფლებამონაცვლედ, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. 2026 წლის 2 მარტიდან კი უქმდება იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ანტიკორუფციული ბიურო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, მათ უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლიკვიდირებული ორგანიზაციების ნაცვლად ფიქსირდება მათი უფლებამონაცვლენი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დადგინდეს: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ განმარტებით ბარათთან ერთად ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი